სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0105, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.: (995 32) 990378, 989540; ფაქსი: 987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0105
Tel.: (995 32) 990378, 989540; Fax: 987114

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო!

ქ. თბილისში, მახათას მთაზე, იწყება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ის, რომ საქართველო წილხვედრია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება, ყველასათვის ცნობილია; ამიტომაც მისასალმებელია ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, ბატონ პაატა ბურჭულაძის ინიციატივა ტაძრის მშენებლობისათვის სპეციალური ფონდის – "ივერიისა"-ს დაფუძნების და ამ გრანდიოზულ მშენებლობაში ჩვენი მოსახლეობის აქტიური ჩართვის შესახებ.

პაატა ბურჭულაძეს და მის მიერ დაფუძნებულ ფონდ "ივერიისა"-ს ეძლევა ლოცვა კურთხევა უხელმძღვანელოს ტაძრის მშენებლობას და ამ მიზნით გაღებული შემოწირულობის შეგროვების საქმეს.

დარწმუნებული ვარ, ერთად ავაშენებთ ამ დიდებულ ტაძარს, რითაც კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი ერისა და ქვეყნის სულიერი გაჯანსაღებისა და გაერთიანებისაკენ.

ღმერთმა დალოცოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებელი მართმადიდებელი მრევლი და სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი